საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური

შემოწმების აქტი № 002377 **/შ**

შედგენის თარიღი: 21 იანვარი **2022 წ.**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის", „შრომის ინსპექციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის, „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილების შესაბამისად, კერძოდ, 2021 წლის 23 ივლისს №002377 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით და მასზე თანდართული №002377/ო მითითებით გათვალისწინებული დარღვევების გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტის შრომით უფლებებზე ზედამხედველობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტების, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტების (უფროსი შრომის ინსპექტორები) [redacted] და [redacted] მიერ 2021 წლის 24 ნოემბერს განხორციელდა შემდეგი ორგანიზაციის განმეორებითი ინსპექტირება:

დასახელება: შპს ,,აგროჰაბი"
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404502098;
დირექტორი: ლაშა გოცირიძე;
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №22;
ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №22;

შპს „აგროჰაბის"-ის მიმართ, 2021 წლის 23 ივლისს გაიცა №002377 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და №002377/ო მითითება, რომლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საწარმოს განესაზღვრა 30 (ოცდაათი) დღიანი ვადა მითითების გამოსასწორებლად.

დამსაქმებელთან და დასაქმებულებთან განხორციელებული გასაუბრების, ასევე გამოთხოვილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შპს „აგროჰაბმა" გამოასწორა 2021 წლის 23 ივლისს გაიცა №002377 ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის ოქმითა და №002377/ო მითითებით გათვალისწინებული დარღვევები. კერძოდ, N 1- ლი მითითების თანახმად დარღვეული იყო საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის'' მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი. რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ შრომით ხელშეკრულებებში გაწერილი არ იყო ისეთი არსებითი პირობა, როგორიცაა: სამუშაო დრო და დასვენების დრო. ამასთან, შრომითი ხელშეკრულებების 2.4 პუნქტის ჩანაწერი შეიცავდა დათქმას, რომლის თანახმადაც, დამსაქმებელი და დასაქმებული თანხმდებიან სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაქმებულის სამუშაო დღეები ან/და სამუშაო დრო შეიცვალოს უშუალოდ ხელმძღვანელის მითითებით, რაც წინასწარ ეცნობება მხარეებს. აღნიშნული ჩანაწერი ასევე გვხვდებოდა არასრულწლოვნებთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებშიც. განმეორებითი ინსპექტირების ფარგლებში დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებში გაწერილია სამუშაო და დასვენების დრო, ასევე, შრომით ხელშეკრულებებში, მათ შორის არასრულწლოვნებთან დადებულ ხელშეკრულებებში, აღარ გვხვდება ზემოაღნიშნული ჩანაწერი დამსაქმებლის მიერ ცალმხრივად სამუშაო დღეების ან/და სამუშაო დროის შეცვლის უფლების შესახებ.

გაცემული №2 მითითების თანახმად, დარღვეული იყო საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის'' მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი. კერძოდ, კომპანიის მიერ წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებში სრულყოფილად არ იყო გაწერილი ხელშეკრულების ისეთი არსებითი პირობა, როგორიცაა: ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი და წინაპირობები. აღნიშნული პირობა, შრომითი ხელშეკრულებების ნაცვლად, გაწერილი იყო შრომის შინაგანაწესში. განმეორებითი ინსპექტირების ფარგლებში დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებში უშუალოდ არის გაწერილი ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი და წინაპირობები.

გაცემული №3 მითითების თანახმად, დარღვეული იყო საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის'' მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი" ქვეპუნქტი. კერძოდ, კომპანიის მიერ წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებში გაწერილი არ იყო ისეთი ისეთი არსებითი პირობა, როგორიცაა: შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესი. ამასთან, შრომითი ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.2 პუნქტი ხელშეკრულების შეწყვეტისას ითვალისწინებდა გაფრთხილების ვალდებულებას მხოლოდ დასაქმებულის მხრიდან. განმეორებითი ინსპექტირების ფარგლებში დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებში სრულყოფილად არის გაწერილი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესი.

გაცემული №4 მითითების თანახმად, დარღვეული იყო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი. კერძოდ, კომპანიის შრომის შინაგანაწესის 9.6.1 პუნქტი ითვალისწინებდა როტაციის განხორციელების წესს, რომლის თანახმადაც, კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარე ან კადრების კარიერული განვითარებისა და ზრდის მიზნით, კომპანიის სტრუქტურული ერთეულების შიგნით ან კომპანიის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის შესაძლებელია როტაციის განხორციელება, რომელსაც ახორციელებს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. ასევე, აღნიშნული შინაგანაწესის 14.17 პუნქტი ითვალისწინებდა კომპანიის დირექტორის მიერ ცალმხრივი აქტით დასაქმებულის უფრო დაბალ თანამდებობაზე გადაყვანის უფლებას. განმეორებითი ინსპექტირების ფარგლებში გამოთხოვილი შრომის შინაგანაწესის 9.6.1 პუნქტის თანახმად, როტაციის განხორციელება შესაძლებელია დასაქმებულის თანხმობით, ასევე, 9.6.3 პუნქტის თანახმად, „შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და ადამიანური რესურსების განყოფილება კონსულტაციებს გადიან უშუალოდ იმ დასაქმებულებთან, ვისი როტაციაც იგეგმება. ასევე, აღნიშნული შრომის შინაგანაწესის 9.2 პუნქტის თანახმად, შრომითი ურთიერთობის (შრომითი ხელშეკრულების) არსებითი პირობების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.

№	გაცემული მითითება	შედეგი
1.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის” მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი** „სამუშაო დრო და დასვენების დრო“.	**მითითება შესრულდა**
2.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის” მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი** „ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი“.	**მითითება შესრულდა**
3.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის” მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი**	**მითითება შესრულდა**

	„დამსაქმებლისა და დასაქმებულის მიერ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესი“.	
4.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი** „დასაქმებულის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უქმე დღეებში სამუშაოს შესრულება ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა და მისი ანაზღაურების პირობები განისაზღვრება ამ კანონის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი წესით“.	**მითითება შესრულდა**

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი):

სამართალდამრღვევი ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ შემოწმების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა:

უფლებამოსილი პირ(ები)ი:

[redacted]

სამართალდამრღვევი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი: